თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2017 წლის 25 სექტემბრის სხდომა)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს,

კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტისა და კანდიდატისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს არსებობა არის მნიშვნელოვანი, და

რეკომენდაციით მიმართავს

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს:

შიდაპარტიული დისციპლინის განმტკიცებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციის მიზნით პოლიტიკურმა პარტიებმა/ბლოკებმა გასცენ მკაფიო მითითება და არ დაუშვან მათი კანდიდატებისა თუ რიგითი წევრების მხრიდან ვერბალური ან/და ფიზიკური აგრესია, ზეწოლა ან სხვა სახის არაეთიკური ქმედებები ერთმანეთისა თუ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათი წარმომადგენლებისადმი, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება.